სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/31

24 მარტი 2023წ

ქ. თბილისი

მედიცინის ფაკულტეტზე კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კომისიის თავმჯდომარის, ასოც.პროფესორ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის, 2023 წლის 28 თებერვლის №2 შემაჯამებელი ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 24 მარტის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1.დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/224 დადგენილების შესაბამისად აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საბოლოო შედეგები (იხ. დანართი)

2.დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**